ენერგო აუდიტორთა ტრეინინგი და ცნობიერების ამაღლების კამპანია შენობების ენერგოეფექტურობისათვის

კერძო სექტორის ენერგოაუდიტორთა ტრეინინგი-სერტიფიცირება და ცნობიერების ამაღლების კამპანია შენობების ენერგოეფექტურობისათვის - ეს არის პროექტი, დაფინანსებული დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და DANIDA -ს მიერ, და ადმინისტრირებული სკანდინავიის ქვეყნების გარემოსდაცვითი საფინანსო კორპორაციის (NEFCO) მიერ.

საქართველოში საზოგადოებრივ შენობებს აქვთ ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების დიდი პოტენციალი, ძველი კონსტრუქციების, შეუსაბამო ენერგო სისტემების და ენერგიის დაზოგვის ჩვევების და პრაქტიკის უგულებელყოფის გამო.

ამ პოტენციალის ასათვისებლად, პროექტი მიზნად ისახავს, აუმაღლოს მოტივაცია და ცნობიერება:

- მუნიციპალიტეტების დეპარტამენტების ან საზოგადოებრივი შენობების მენეჯერებს;
- საზოგადოებრივი შენობების ყოველდღიურ ენერგო მენეჯმენტზე და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელ პერსონალს;
- მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი შენობების ბიუჯეტის შემუშავება-კონტროლზე პასუხისმგებელ პერსონალს

საზოგადოებრივ შენობებში ენერგო დამზოგი ღონისძიებების შესახებ მუნიციპალურ დონეზე.

ცნობიერების ამაღლების ერთწლიანი კამპანია იმ მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც მიუერთდნენ მერების შეთანხმებას, ადაპტირებული იქნება სკოლების, საბავშვო ბაღების და ადმისტრაციული შენობებისათვის. ცნობიერების ამაღლების კამპანია გაავრცელებს ინფორმაციას, თუ რატომ არის ენერგოდაზოგვა საზოგადოებრივ შენობებში მნიშვნელოვანი, თუ როგორ მოიხმარება ენერგია სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ შენობებში, რჩევებს, თუ როგორ უნდა შემცირდეს ენერგო მოხმარება და რა სარგებელი მიიღება ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებით, ასევე სწრაფი ცვლილებების მხარდაჭერის გზების შესახებ.

ჩატარდება საინფორმაციო სემინარები საზოგადოებრივი შენობების მენეჯერებისა და ამ შენობებში ენერგო მენეჯმენტზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის, იმ საკითხების განსახილველად, რაც ეხება შენობებში ენერგო მენეჯმენტს

- შენობის ენერგო მომხმარებელთა იდენტიფიცირება;
- ენერგო მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- შენობის ენერგო მომხმარებელთა მონიტორინგი და მომსახურება;



- ენერგიის დაზოგვის უფასო და იაფი ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება ;
- განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა საზოგადოებრივ შენობებში;
- საზოგადოებრივი შენობების მომხმარებელთა სტიმულირება ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად, მათი ჩვევების ცვლილებით.

გაიმართება პროექტის შუალედური და საბოლოო შეხვედრა მიღწეული ენერგო-დანაზოგების განსახილველად, როგორ განხორციელდა ენერგო მენეჯმენტი და მისი შედეგები, ასახული ენერგო გადასახადებში, უფასო და იაფი ენერგოეფექტური ღონიძიებების გატარების შემდეგ.

კამპანია შესაძლებლობას მოგვცემს გამოვიყენოთ ისეთი საინფორმაციო საშუალებები, როგორიცაა პოსტერები, ლიფლეტები, ბანერები, ბილბორდები, პრაქტიკული მაგალითები, რაც მოახდენს შენობების მომხმარებელთა (მოსწავლეების,

მასწავლებლების, ვიზიტორების, პერსონალის) ინფორმირებას და სტიმულირებას, განახორციელონ ენერგოდაზოგვის ღონისძიებები სამუშაოზე, სკოლაში ან საბავშვო ბაღში.

ზოგიერთი შენობა, არსებული ენერგო მონაცემების და მათი მენეჯერების მზადყოფნის საფუძველზე, შეიძლება შეირჩეს ენერგო აუდიტის ჩასატარებლად.

საინფორმაციო კამპანიის პარალელურად, ჩატარდება ტრეინინგი და მომზადდება დაახლოებით ორმოცი ენერგო აუდიტორი, რომლებსაც მომავალში შეეძლებათ ენერგო აუდიტის ჩატარება. ტრეინინგის

პროგრამა გამიზნულია ენერგოეფექტურობის და შენობების სფეროში გამოცდილების მქონე კერძო პირებისთვის, შენობების მენეჯმენტით დაკავებული საჯარო მოხელეებისთვის, სტუდენტებისთვის.

ტრეინინგის ფარგლებში ჩატარდება ენერგო აუდიტები შერჩეულ მუნიციპალურ და საზოგადოებრივ შენობებში, სადაც შესაძლებელია ისეთი ენერგოეფექტური ღონისძიებების იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელებითგაუმჯობესდება შენობის ენერგოეფექტურობა და შემცირდება ენერგო გადასახადები.

UDENRIGSMINISTERIET
DANIDA | DANMARKS UDVIKLINGSSAMARBEJDE

NEFCO
NORDIC ENVIRONMENT FINANCE CORPORATION

პროექტი დაფინანსებულია დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და DANIDA-ს მიერ, ადმინისტრირებულია NEFCO-ს მიერ და განხორციელებულია ALLPLAN-ის და ეეც საქართველოს მიერ

EEC · ეეც

ALLPLAN
Die Umweltmanager.

ენერგო აუდიტორთა ტრეინინგი და ცნობიერების ამაღლების კამპანია შენობების ენერგოეფექტურობისათვის